საქართველო

სანოტარო აქტი

ორიათას ცხრამეტი წლის თექვსმეტ დეკემბერს მე, საქართველოს ნოტარიუს ნინო მათუაშვილს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 10 მომმართა: შპს „რელუქს“-ის (ს/კ402038237) დირექტორმა დავით ერისთავმა (დაბ:18.10.1980წელს, პირადი # 01031004480, მისამართი: **თბილისი, გაბრიელ ისაკაძის ქუჩა, N 12, ბინა 10**) რომელმაც მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე, დავადგინე მარწმუნებელი პირის პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის მოწმობის და სსგს ელექტრონულ მონაცემთა ბაზის საფუძველზე და დავრწმუნდი რომ მე ნამდვილად ზ/აღნიშნულმა პირმა მომმართა. მე შევამოწმე მხარის უფლებამოსილება თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, რომლის მომზადების თარიღია: 07/09/2016წ. B18190091; და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს,) მე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა და შევადგინე მინდობილობის ტექსტი, რომელიც წავუკითხე მხარეს, განვუმარტე მისი შინაარსი და მინდობილობაზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, მათ შორის ის გარემოება, რომ მას უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა. პირმა პირადად წაიკითხა წინამდებარე მინდობილობა, მოიწონა ის და განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას. შემდეგ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას.

მინდობილობა

მე, შპს „რელუქს“-ის (ს/კ402038237) დირექტორი დავით ერისთავი (დაბ:18.10.1980წელს, პირადი # 01031004480, მისამართი: **თბილისი, გაბრიელ ისაკაძის ქუჩა, N 12, ბინა 10**) ამ მინდობილობით ვენდობი ვალერი მიმინოშვილს (დაბ:07.08.1977წ, პირადი # 01015001043, მის: **თბილისი ვ.გორგასალის IV შეს. N 9**) რათა იგი იყოს ჩემი როგორც შპს „რელუქს“-ის წარმომადგენელი ქ. თბილისის მერიაში და მის დამქვემდებარებაში მყოფ ნებისმიერ სამსახურში, უძრავი ქონებასთან დაკავშირებით მდებარე მისამართზე: თბილისი, საბურთალოს რაიონი ნაკვეთი 05/058; ს/კ 01.10.08.005.058; შპს „რელუქს“-ის სახელით ხელი მოაწეროს ნებისმიერი სახის დოკუმენტს, მათ შორის თანხმობას, და/ან განცხადებას, განაახლოს და/ან დაარეგისტრიროს, მიიღოს ხელზე ნებისმიერი დოკუმენტი, აიღოს ცნობა, ამონაწერი, მოწმობა და სხვა საჭირო დოკუმენტაცია, შეაგროვოს ყოველგვარი დოკუმენტი და წარადგინოს მოთხოვნის ადგილზე, გადაიხადოს ყოველგვარი გადასახადი, ამასთან დაკავშირებით აწარმოოს კანონით ნებადართული ყველა საჭირო ქმედება და შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება ზ/ აღნიშნული დავალების შესასრულებლად.

მინდობილობა გაცემულია ექვსი თვის ვადით, მესამე პირზე გადანდობის უფლების გარეშე.

მინდობილობა შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარძალოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ეგზემპლარი გადაეცა მხარეს, მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება ნოტარიუსის არქივში, თან ერთვის შპს „რელუქს“-ის ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, მომზადების თარიღი: 07/09/2016წ. განცხადების რეგისტრაციის ნომერი B18190091; ს /ნ 402038237;

გადახდილია საზღაური 13,80 (ცამეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი: აქედან 10 (ათი) ლარი 29.12.2011 წლის საქართველოს მთავრობის №507 დადგენილების „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღა უ რისა და სა-ქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევი ნების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ” 31-ე მუხლის თანახმად და 2 (ორი) ლარი იმავე დადგე ნი ლების 39-ე მუხლის თანახმად, სანოტარო მოქმედების ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციის საფასური. და 1,80 (ერთი ლარი და ოთხმოცი თეთრი) დღგ თანახმად საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა.

მინდობილობის გამცემი:

შპს „რელუქს“-დირექტორი

დავით ერისთავი ----------

ნოტარიუსი ნინო მათუაშვილი